

საქართველოს კანონი

“სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. “სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლის შესახებ” საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N20, 05.09.2003, მუხ. 195) მე-ნ მუხლში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-ნ მუხლის მე-13 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„13. კვების (მათ შორის, ბავშვთა კვების) პროდუქტების პროდუქციის წარმოების სფეროში:

ა) ყურძნის გადამუშავება და ღვინომასალების დამზადება - 200 ლარი;

ბ) მშრალი ღვინის დამზადება ან/და ჩამოსხმა - 200 ლარი;

გ) სუფრის ნახევრად მშრალი, ნახევრად ტკბილი და ტკბილი ღვინოების დამზადება ან/და ჩამოსხმა - 200 ლარი;

დ) ნატურალური ნახევრად მშრალი, ნახევრად ტკბილი და ტკბილი ღვინოების დამზადება ან/და ჩამოსხმა - 200 ლარი;

ე) ცქრიალა ღვინის დამზადება - 200 ლარი;

ვ) შუშხუნა ღვინის დამზადება - 200 ლარი;

ზ) შემეგრებული და არომატიზებული ღვინოების დამზადება ან/და ჩამოსხმა - 200 ლარი;

თ) ბრენდის სპირტის გამოხდა ან/და დაეარგება - 200 ლარი;

ი) ბრენდის დამზადება ან/და ჩამოსხმა - 200 ლარი;

კ) ნელლი სპირტის დამზადება - 200 ლარი;

ლ) სპირტი რექტიფიკატის დამზადება - 200 ლარი;

მ) არყის დამზადება ან/და ჩამოსხმა - 200 ლარი;

ნ) ლიქიორის, ნაყენებისა და მაგარი სასმელების დამზადება ან/და ჩამოსხმა - 200 ლარი;

ო) ეთილის სპირტის გამოყენებით დაბალალკოჰოლიანი სასმელების დამზადება ან/და ჩამოსხმა - 200 ლარი;

პ) ხილკენკროვანი ღვინოების დამზადება ან/და ჩამოსხმა - 200 ლარი;

ჟ) ძმრის დამზადება ან/და ჩამოსხმა - 200 ლარი;

რ) ლუდის წარმოება - 200 ლარი;

ს) ალაოსა და სვია პროდუქტების წარმოება - 200 ლარი;

- ტ) ბურახის წარმოება - 200 ლარი;
- უ) წყლის წარმოება - 200 ლარი;
- ფ) მინერალური წყლის წარმოება - 200 ლარი;
- ქ) უაღკოპოლო სასმელების წარმოება - 200 ლარი;
- ღ) ვაჟინისა და უაღკოპოლო სასმელების ნახევარფაბრიკატების წარმოება - 200 ლარი;
- ყ) ნახშირორჟანგის წარმოება გაზირებული სასმელებისათვის - 200 ლარი;
- შ) ჩაის გადამუშავება ან/და დაფასოება - 200 ლარი;
- ჩ) ყავის გადამუშავება ან/და დაფასოება - 200 ლარი;
- ც) ფქვილის წარმოება ან/და დაფასოება - 200 ლარი;
- ძ) ბურღულეულის წარმოება ან/და დაფასოება - 200 ლარი;
- წ) მაკარონის ნაწარმის წარმოება ან/და დაფასოება - 200 ლარი;
- ჭ) პურ-ფუნთუშეულის წარმოება ან/და დაფასოება - 200 ლარი;
- ხ) მარცვლეულისა და მარცვლოვანი პარკოსნების დაფასოება - 200 ლარი;
- ჯ) შაქრის წარმოება ან/და დაფასოება - 200 ლარი;
- ჰ) თაფლის გადამუშავება ან/და დაფასოება - 200 ლარი;
- ჰ1) სახამებელ-ბადაგის წარმოება ან/და დაფასოება - 200 ლარი;
- ჰ2) შაქროვანი საკონდიტრო ნაწარმის წარმოება ან/და დაფასოება - 200 ლარი;
- ჰ3) ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმის წარმოება ან/და დაფასოება - 200 ლარი;
- ჰ4) ხილის გადამუშავება ან/და დაფასოება - 200 ლარი;
- ჰ5) ბოსტნეულის და სოკოს გადამუშავება ან/და დაფასოება - 200 ლარი;
- ჰ6) კაკლოვანი კულტურის გადამუშავება ან/და დაფასოება - 200 ლარი;
- ჰ7) ხორცის გადამუშავება ან/და დაფასოება - 200 ლარი;
- ჰ8) ხორცის პროდუქტების წარმოება ან/და დაფასოება - 200 ლარი;
- ჰ9) ხორცის და ხორც-ბოსტნეულის კონსერვების წარმოება - 200 ლარი;
- ჰ10) კვერცხის პროდუქტების წარმოება ან/და დაფასოება - 200 ლარი;

- კ11) რძის პროდუქტების წარმოება ან/და დაფასოება - 200 ლარი;
- კ12) ცხოველური ცხიმების წარმოება ან/და დაფასოება - 200 ლარი;
- კ13) ნაყინის წარმოება ან/და დაფასოება - 200 ლარი;
- კ14) ყველის წარმოება ან/და დაფასოება - 200 ლარი;
- კ15) მცენარეული ზეთების (ზეთი, მარგარინი, მაიონეზი) წარმოება ან/და დაფასოება - 200 ლარი;
- კ16) თევზისა და ზღვის სხვა პროდუქტების გადამუშავება ან/და დაფასოება - 200 ლარი;
- კ17) საგემოვნო პროდუქტების წარმოება ან/და დაფასოება - 200 ლარი;
- კ18) საკვებდანამატების წარმოება ან/და დაფასოება - 200 ლარი;
- კ19) ბავშვთა კვების პროდუქტების წარმოება ან/და დაფასოება - 200 ლარი.“

2. მე-6 მუხლის მე-16 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„16. ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობა, გაზის დამუშავება, ნავთობის, გაზის ან/და ნავთობგაზპროდუქტების ტრანსპორტირება („ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში):

- ა) ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობა:
- ა.ა) გეოლოგიური რესურსები 20 მილიონამდე ტონა/კვადრატულ კილომეტრზე - 65000 ლარი;
- ა.ბ) გეოლოგიური რესურსები 20-დან 60 მილიონ ტონა/კვადრატულ კილომეტრამდე - 130000 ლარი;
- ა.გ) გეოლოგიური რესურსები 60 მილიონი ტონა/კვადრატულ კილომეტრზე და ზევით - 220000 ლარი;
- ბ) გაზის დამუშავება - 2500 ლარი;
- გ) ნავთობის, გაზისა და ნავთობგაზპროდუქტების ტრანსპორტირება - 2000 ლარი.“

3. მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი მინარსის 27-ე პუნქტი:

„27. „ნავთობპროდუქტებისა და თამბაქოს სფეროში ლიცენზიების გაცემის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე:

ა) იმპორტიორის მიერ თამბაქოს ნაწარმის იმპორტი და საბითუმო მიწოდება - 450 ლარი;

ბ) მწარმოებლის მიერ თამბაქოს ნაწარმის წარმოება და საბითუმო მიწოდება - 200 ლარი;

გ) პირის მიერ (გარდა იმპორტიორისა და მწარმოებლისა) თამბაქოს ნაწარმის საბითუმო მიწოდება - 200 ლარი;

დ) პირის მიერ თამბაქოს ნაწარმის საცალო მიწოდება - 150 ლარი;

ე) იმპორტიორის მიერ ნავთობპროდუქტების იმპორტი და საბითუმო მიწოდება - 3000 ლარი;

ვ) მწარმოებლის მიერ ნავთობპროდუქტების წარმოება და საბითუმო მიწოდება - 3000 ლარი;

ზ) პირის მიერ (გარდა იმპორტიორისა და მწარმოებლისა) ნავთობპროდუქტების საბითუმო მიწოდება - 3000 ლარი;

თ) პირის მიერ ნავთობპროდუქტების საცალო მიწოდება - 1000 ლარი;

ი) ნავთობპროდუქტების გადაზიდვა - 2000 ლარი;

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს ზოგიერთი აქციზური საქონლის კონტროლისა და ლიცენზიების გაცემის შესახებ საქართველოს კანონის ამოქმედებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

თბილისი

200 წელი